

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების
თაობაზე“

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

1996 წლის 22 აპრილს ევროკავშირსა და საქართველოს შორის „თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ“ დადებული შეთანხმების მიხედვით, ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საქართველოს არსებული და მომავალი კანონმდებლობის მიახლოება გაერთიანების კანონმდებლობასთან.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი:

კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მოხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი:

„რეკლამის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტში შემოთავაზებული ცვლილებები განსაზღვრავს შეცდომაში შემყვანი რეკლამის ცნებას „ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შეცდომაში შემყვანი რეკლამების რეგულაციებისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის შესახებ (84/450/EC)“ დირექტივის შესაბამისად.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი მოყვანილია შესაბამისობაში „ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შეცდომაში შემყვანი რეკლამების რეგულაციებისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის შესახებ (84/450/EC)“ დირექტივასთან.

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია და დაწესებულება, ექსპერტები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებს, ექსპერტებს.

დ.ბ. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ორგანიზაციების (დაწესებულებების) და ექსპერტების შეფასება.

დ.გ. კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი მიხეილ ნაკაშიძე.

დ.დ. კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი.